05/06/2026

MES 1 26 0000678151

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 04.06.2026 წ;
სხდომის დაწყების დრო: 10:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 17:17 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:

ეკატერინე ლეჟავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ ჩიკვილაძე - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
ნინო ლაბარტყავა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
თეა ბაქრაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
ნინო გიუაშვილი - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის - „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
რონა პერტია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
ნათელა ლურსმანაშვილი - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი, საბჭოს წევრი;

ნანა ათუაშვილი - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მიქაუტიძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თეა ცერცვაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
სოფიკო მიქაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო კაპანაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ქევხიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გოგა პარუნაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ ბიბილაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ცირა თარალაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/დასკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:

1) ა(ა)იპ ქ. თბილისის №101 საბავშვო ბაგა-ბაღი:
ქრისტინა მოდებაძე - დირექტორი;
თეა გაგანაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამების კორდინატორი;
ანა ხოფერია - ფსიქოლოგი;

2) ა(ა)იპ ქ. თბილისის №102 საბავშვო ბაგა-ბაღი:
ნინო შაშიაშვილი - დირექტორი;
ირინე გორგიშელი - საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი;
ეკა ჯიბლაძე - ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კორდინატორი;
ნინო მესხი- სპეციალური პედაგოგი;
ირინა ლაცაბიძე - ფსიქოლოგი;

3) ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო:
ქეთევან შარვაძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს განვითარების განყოფილების უფროსი.

4) ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება:
ხატია ზაკალაშვილი - გაერთიანების დირექტორი;
სოფელ ვაჩნაძიანის საბავშვო ბაგა-ბაღი:
რუსუდან ძამსაშვილი - მენეჯერი;
ქალაქ გურჯაანის №4 საბავშვო ბაგა-ბაღი:
ნინო ელიზბარაშვილი - მენეჯერი;
ქალაქ გურჯაანის №2 საბავშვო ბაგა-ბაღი:

ნონა ნონიაშვილი - მენეჯერი;
ქალაქ გურჯაანის №1 საბავშვო ბაგა-ბაღი:
ნათია ბეთანელი - მენეჯერი;
სოფელ ახაშნის საბავშვო ბაგა-ბაღი:
ლელა მაისურაძე - მენეჯერის მ/შ;
სოფელ ველისციხის №2 საბავშვო ბაგა-ბაღი:
მანანა ქათამაძე - მენეჯერის მ/შ.

5) გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია:
ვაჟა ბენაშვილი - მერის მოადგილე.

6) ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება:
ამალია მღდესიანი - გაერთიანების დირექტორი;
ეკა ანთაძე - გაერთიანების მეთოდისტი;
ნინოწმინდის №2 საბავშვო ბაღი:
მარინა ესოიანი - საბავშვო ბაღის მენეჯერი;
სოფელ პატარა ხანჩალის საბავშვო ბაღი:
ლეილი სოიანი - საბავშვო ბაღის მენეჯერი;
სოფელ სათხის საბავშვო ბაღი:
ლილია პალოიან - საბავშვო ბაღის მენეჯერი;
სოფელ ყულალისის საბავშვო ბაღი:
ლენა გაბრიელიან - საბავშვო ბაღის მენეჯერი.

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ანდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა(ა)იპ ქ. თბილისის №101 საბავშვო ბაგა-ბაღი:
ა) მარინა გოგოლაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) ეკატერინე კობახიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე ზაზაშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) გელა გელაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ ქ. თბილისის №102 საბავშვო ბაგა-ბაღი:
ა) მარინა გოგოლაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) ეკატერინე კობახიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე ზაზაშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) გელა გელაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება (სოფელ ვაჩნაძიანის საბავშვო ბაგა-ბაღი):
ა) თეა სხირტლაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) სოფიო გოცირიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო მელიქიძე - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) ლალი ალადაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება (ქალაქ გურჯაანის №4 საბავშვო ბაგა-ბაღი):
ა) თეა სხირტლაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) სოფიო გოცირიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო მელიქიძე - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) ლალი ალადაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება (ქალაქ გურჯაანის №2 საბავშვო ბაგა-ბაღი):
ა) თეა სხირტლაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) სოფიო გოცირიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო მელიქიძე - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) ლალი ალადაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება (ქალაქ გურჯაანის №1 საბავშვო ბაგა-ბაღი):
ა) ლელა ღაჭავა - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) ეკატერინე კობახიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო მელიქიძე - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) ლალი ალადაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება (სოფელ ახაშნის საბავშვო ბაგა-ბაღი):
ა) ლელა ღაჭავა - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) ეკატერინე კობახიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო მელიქიძე - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) ლალი ალადაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება (სოფელ ველისციხის №2 საბავშვო ბაგა-ბაღი):
ა) ლელა ღაჭავა - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) ეკატერინე კობახიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო მელიქიძე - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) ლალი ალადაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება (ნინოწმინდის №2 საბავშვო ბაღი):
ა) ნანა ხითარიშვილი - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) თამარ შკუბულიანი - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ნაროუშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) კახაბერ ბერიძე - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება (სოფელ პატარა ხანჩალის საბავშვო ბაღი):
ა) ნანა ხითარიშვილი - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) თამარ შკუბულიანი - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ნაროუშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);

დ) კახაბერ ბერიძე - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება (სოფელ სათხის საბავშვო ბაღი):
ა) ნანა ხითარიშვილი - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) თამარ შკუბულიანი - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ნაროუშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) კახაბერ ბერიძე - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება (სოფელ ყულალისის საბავშვო ბაღი):
ა) ნანა ხითარიშვილი - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ) თამარ შკუბულიანი - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ნაროუშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
დ) კახაბერ ბერიძე - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2026 წლის 04 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 10:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:
1. ა(ა)იპ ქ. თბილისის №101 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ ქ. თბილისის №102 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება - სოფელ ვაჩნაძიანის საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება - ქალაქ გურჯაანის №4 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება - ქალაქ გურჯაანის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება - ქალაქ გურჯაანის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

7. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება - სოფელ ახაშნის საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება - სოფელ ველისციხის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება - ნინოწმინდის №2 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება - სოფელ პატარა ხანჩალის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება - სოფელ სათხის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება - სოფელ ყულალისის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ ქ. თბილისის №101 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინა გოგოლაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ქ. თბილისის №101 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 19 და 20 თებერვალს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა - „თამაში ემოციური კეთილდღეობისთვის", ,,2-3 წლიანი, 3-4 წლიანი, ასაკობრივი ჯგუფებისთვის'' და 2-დან 5 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში ადრეული კურიკულუმის ,,თამაში პრაქტიკული სახელმძღვანელო/ სცენარები 2-დან 5 წლამდე და

შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის'', ,,სასკოლო მზაობის პროგრამა - თამაში სწავლისა და განვითარებისთვის''; ,,ხელოვნების მეშვეობით გაჯანსაღებისა და განათლების (HEART) პროგრამა''- კურიკულუმი. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 319. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 319 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარინა გოგოლაძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ნაწილ მათგანთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო დასკვნაში მითითებული ხარვეზების ნაწილის აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავამ, ითხოვა დამატებითი განმარტება 4.4 კომპონენეტის შეფასებასთან დაკავშირებით.
ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინა გოგლაძემ, განმარტა, რომ დასკვნაში 4.4 კომპონენტთან მიმართებით დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, შეფასება ნაცვლად „არ შეესაბამება" უნდა იყოს „მეტწილად შეესაბამება", რადგან დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც რელევანტურია და უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას მითითებულ პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა არასაკონტაქტო საათების ფარგლებში საგანმანათლებლო პერსონალის თანამშრომლობის საკითხით. დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის განმარტებით, აღმზრდელთა შორის კოორდინაცია და ინფორმაციის გაცვლა უზრუნველყოფილი იქნება შეთანხმებული მუშაობის პრინციპით. საჭიროების შემთხვევაში, პროცესში ჩართული იქნება სათადარიგო პედაგოგი. ამასთან, არასაკონტაქტო საათების ფარგლებში პირველი და მეორე ცვლის აღმზრდელთა სამუშაო დრო ნაწილობრივ გადაიკვეთება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ეფექტიან გაზიარებასა და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა კვების მიმართულებით არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების საკითხით. დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კვებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაწესებულება კოორდინირებულად ითანამშრომლებს ბაგა-ბაღების სააგენტოსთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დამატებით მოხდება ნუტრიციოლოგთან კონსულტაციის გავლა და მენიუს კორექტირება. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ვინაიდან დაწესებულების კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა სააგენტოს კომპეტენციას წარმოადგენს, მენიუს დაგეგმვა განხორციელდება სააგენტოს მიერ ნუტრიციოლოგის ჩართულობით და უზრუნველყოფილი იქნება მისი შესაბამისობა №487

დადგენილების მოთხოვნებთან. მისივე განმარტებით, გამოვლენილ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი სამუშაოები უკვე დაგეგმილია, რათა დაწესებულების ფუნქციონირების პროცესში სრულად იყოს უზრუნველყოფილი დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, ასევე დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ბავშვისთვის პირადი ჰიგიენის და ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების განვითარების მიმართულებით არსებული სასწავლო პროგრამებისა და აქტივობების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ჰიგიენური უნარების განვითარების მიზნით დაწესებულებაში განთავსდება ვიზუალური მინიშნებები ხელის დაბანის წესებისა და ჰიგიენური ნორმების შესახებ, გამოყენებული იქნება შესაბამისი საგანმანათლებლო ბარათები, ხოლო საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვებთან იმუშავებს პირადი ჰიგიენის, დანა-ჩანგლის სწორად გამოყენებისა და ჯანსაღი კვების უნარების განვითარებასა და გამომუშავებაზე.

საბჭოს წევრი, თეა ბაქრაძე, დაინტერესდა სახანძრო კიბის ექსპლუატაციის საკითხით. დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სახანძრო კიბე სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს და გამოყენებული იქნება მხოლოდ საგანგებო საჭიროების შემთხვევაში.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების იდენტიფიცირების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობაში, აღმზრდელებთან ერთად, ჩაერთვებიან მულტიდისციპლინური გუნდის წევრები. ასევე, შესაბამისი რეკომენდაციისა და მშობლის სურვილის გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება ინდივიდუალური ასისტენტის ჩართვა. საჭიროების შესაბამისად, მხარდაჭერას უზრუნველყოფენ შესაბამისი სპეციალისტებიც.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა, ბავშვზე შესაძლო ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირებას საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრული იქნება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი პროცესების მართვას. ასევე, ძალადობის პრევენციისა და დროული გამოვლენის მიზნით, დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება ვიდეომონიტორინგი, ხოლო ჯგუფებში სისტემატურ დაკვირვებას განახორციელებენ შესაბამისი სპეციალისტები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. დაწესებულებაში ამოქმედდება „მშობელთა სკოლა", რომლის ფარგლებში მშობლებთან სისტემატურად გაიმართება შეხვედრები.

საბჭოს წევრი, ნათელა ლურსმანაშვილი, დაინტერესდა, ბავშვზე ობიექტური დაკვირვებისა და დაკვირვების შედეგების შემდგომი გამოყენების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღმზრდელების მიერ განხორციელდება ბავშვებზე სისტემატური დაკვირვება და რეფლექსიების წარმოება, რომლებიც სასწავლო პროცესის შეფასებისა და დაგეგმვისთვის იქნება გამოყენებული. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელებისთვის მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობით შემუშავდება ინდივიდუალური გეგმა.

საბჭოს წევრი, თამარ ჩიკვილაძე, დაინტერესდა, ტრანზიციის პროცესთან დაკავშირებული საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება როგორც მცირე, ისე დიდი ტრანზიციების განხორციელება. დიდი ტრანზიციის ფარგლებში დაგეგმილი იქნება ვიზიტები სკოლებსა და ბიბლიოთეკებში, რაც აღსაზრდელების ადაპტაციასა და ახალი გარემოს გაცნობას შეუწყობს ხელს.

საბჭოს წევრი, თამარ ჩიკვილაძე დაინტერესდა საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ყველა აღმზრდელს გავლილი აქვს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული და HART-ის პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული უნარების გაძლიერებასა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან წარმართვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო - 11:04
დასრულების დრო -11:17

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ქ. თბილისის №101 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 319-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ქ. თბილისის №101 საბავშვო ბაგა-ბაღს 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 319-ით.
საბჭომ ავტორიზაციის IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 4 ივნისისა.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ ქ.თბილისის №102 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინა გოგოლაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ქ. თბილისის №102 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 17 და 18 თებერვალს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან - 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის პირველი და მეორე ნაწილი. 2. სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო, სასკოლო მზაობის პროგრამა აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი.“ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 376. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 376 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარინა გოგოლაძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ნაწილ მათგანთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო დასკვნაში მითითებული ხარვეზების ნაწილის აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო-მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავამ, ითხოვა დამატებითი განმარტება 4.4 კომპონენტის შეფასებასთან დაკავშირებით.
ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინა გოგოლაძემ, განმარტა, რომ დასკვნაში 4.4 კომპონენტთან მიმართებით დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, შეფასება ნაცვლად „არ შეესაბამება“ უნდა იყოს „მეტწილად შეესაბამება“, რადგანაც დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც რელევანტურია და უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას მითითებულ პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა საბავშვო ბაღიდან ბავშვის გაყვანის პროცედურებით, გარე აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმებით, ასევე მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა წინასწარი ინფორმირებისა და თანხმობის მიღების წესით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ საბავშვო ბაღიდან გაყვანისა და გასვლითი აქტივობების პროცედურები წინასწარ არის გაწერილი და ორგანიზებული. მისივე განმარტებით, გამოიყენება როგორც თემში არსებული დაწესებულებები, ისე თემის გარეთ არსებული ობიექტები, სადაც ხორციელდება მეთოდოლოგიურად დაგეგმილი, ბავშვთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული გასვლითი აქტივობები. აღნიშნული პროცესები ხორციელდება მშობელთა წინასწარი ინფორმირებისა და თანხმობის საფუძველზე.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა ალერგიული სტატუსის მქონე ბავშვებისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფისა და ალერგიული რეაქციის გამოვლენის შემთხვევაში პერსონალის რეაგირების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ალერგიული სტატუსის მქონე ბავშვის შემთხვევაში, შესაბამისი ბარათის შევსების საფუძველზე გათვალისწინებული იქნება ინდივიდუალური საჭიროებები, მათ შორის მენიუ. მისივე განმარტებით, დაწესებულების პერსონალს გავლილი აქვს პირველადი დახმარების პროცედურებთან დაკავშირებული სწავლება, რაც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამის რეაგირების განხორციელების მზაობას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა, ბავშვზე შესაძლო ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და შესაბამის რეაგირებას საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრული იქნება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი პროცესების მართვას. მისივე განმარტებით, ძალადობის პრევენციისა და დროული გამოვლენის მიზნით, დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება ვიდეომონიტორინგი, ხოლო ჯგუფებში სისტემატურ დაკვირვებას განახორციელებენ შესაბამისი სპეციალისტები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა, როგორ მოხდება დაწესებულების ფსიქოლოგების მიერ რთული ქცევის შეფასება და რა ინსტრუმენტები იქნება გამოყენებული აღნიშნული პროცესის განხორციელებისას.
დაწესებულების სტატუსის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში შეფასება განხორციელდება ბავშვის ფსიქოსაგანმანათლებლო, კოგნიტური, აკადემიური და სოციალური უნარების მიმართულებით, ყველა შესაბამისი სფეროს გათვალისწინებით.

საბჭოს წევრი, თამარ ჩიკვილაძე, დაინტერესდა, რთული ქცევის გამოვლენის შემთხვევაში როგორ მოხდება ფსიქოლოგის ჩართულობა და მშობელთან კომუნიკაცია.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბავშვის განვითარების ან/და მდგომარეობის თავისებურებების გამოვლენის შემთხვევაში, პირველ ეტაპზე გაიმართება შეხვედრა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, ხოლო ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე განხორციელდება ბავშვის შესაბამის სპეციალიზებულ ცენტრში გადამისამართება, მისი საჭიროებებისა და მდგომარეობის დეტალური შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 11:56
დასრულების დრო -12:02

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ქ. თბილისის N102 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 376-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ქ. თბილისის N102 საბავშვო ბაგა-ბაღს 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 376-ით.
საბჭომ ავტორიზაციის IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 4 ივნისისა.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ ვაჩნაძიანის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი რონა პერტია.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ

საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა სხირტლაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალ სოფელ ვაჩნაძიანის საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში“ მეთოდური სახელმღვანელო 2 დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 115. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 58 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, თეა სხირტლაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა სამუშაო დღის 9:00 დან 16:00 საათამდე ხანგრძლივობის და დამლაგებლის ფუნქციების შეთავსებასთან დაკავშირებული საკითხებით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ ორივე საკითხზე უკვე დაწყებულია მუშაობა, პრობლემა დაკავშირებული იყო საკადრო დეფიციტთან და ხარვეზების აღმოფხვრა განხორციელდება ინიცირებული განახლებული საშტატო განრიგით. გაერთიანება უკვე დარეგისტრირდა საიტზე Hr.gov.ge, კონკურსის გზით მოხდება კადრების დამატება და ცვლიანობის გრაფიკის გათვალისწინებით სამუშაო დღის ხანგრძლივობა კანონმდებლობის ფარგლებში 9:00 დან 18:00-მდე განისაზღვრება. შრომით ხელშეკრულებებში აისახება

საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები. დამლაგებელის საკითხიც ასახულია ახალ საშტატოში, დამლაგებლის ფუნქციები გაწერილია და აისახება შესაბამის შრომით ხელშეკრულებაში.

საბჭოს თავმჯდომარე ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით პერსონალის მზაობით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია გაცნობილია პერსონალთან, დაგეგმილია შესაბამისი ტრენინგების საკომუნიკაციო გეგმაში ასახვა და განხორციელება.

საბჭოს წევრი ნინო გიუაშვილი დაინტერესდა სეზონული გრიპის პერიოდში, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გართულების პირობებში დაწესებულების მზაობით, პროცესების მართვის გაუმჯობესების კუთხით და დაწესებულების წყალმომარაგებს საკითხით.
გაერთიანების დიერქტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ გაწერილი აქვთ შესაბამისი სოპ-ები, აქვთ მზაობა ზედმიწევნით მათი შესრულების და შესაბამის ჟურნალში ასახვის. წყალმომარაგება გამართულია და გეგმიურად, 6 თვეში ერთხელ განხორციელდება წყლის ანალიზი.

საბჭოს წევრი ნანა ათუაშვილი დაინტერესდა სსმ ბავშვებთან დაკავშირებული სტრატეგიით და მობილური ტელეფონების გამოყენების საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ სპეციალურ პედაგოგს აქვს მზაობა ყველა შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით, დღის ცენტრებთან კოორდინაციით და ერთობლივად შედგენილი ინდივიდუალური გეგმით განახორციელოს შესაბამისი სერვისის მიწოდება. ჯგუფები აღჭურვილია კამერებით და მობილური ტელეფონების გამოყენება მკაცრად აკრძალულია.

კურიკულუმის ექსპერტმა სოფიო გოცირიძემ აღნიშნა, რომ გაერთიენების ფარგლებში არსებული საუკეთესო პრაქტიკის კარგი მაგალითია, კომუნიკაციისთვის დოკუმენტბრუნვის შიდა ელექტრონული სისტემის გამოყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო - 12:25
დასრულების დრო -12:29

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ ვაჩნაძიანის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 115 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებას (სოფელ ვაჩნაძიანის საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 58-ით.
საბჭომ ავტორიზაციის მე-2 და მე-4 სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 04 ივნისისა.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (ქალაქ გურჯაანის №4 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა სხირტლაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალ ქალაქ გურჯაანის №4 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 18 და 19 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" მეთოდური სახელმძღვანელო 2 დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების

ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 175. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 88 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, თეა სხირტლაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე და მესამე სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ტექნიკური ხარვეზის გამო მეორე სტანდარტი მონიშნულია როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", თუმცა უნდა იყოს მონიშნული ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ეზოს ინფრასტრუქტურის საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოები გათვლილია ორწლიან პერიოდზე, თუმცა მიმდინარე წელს დაგეგმილ საკითხებთან დაკავშირებით სატენდერო პროცედურები უკვე დაწყებულია და შესრულდება მიმდინარე წელს, არდადეგების პერიოდში. დიდი ინფრასტუქტურული სამუშაოები მომდევნო წელს განხორციელდება. გაერთიანებას აქვს სრული მხრადაჭერაა მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან.

საბჭოს წევრი ნინო გიუაშვილი დაინტერსდა ინფრასტრუქტურული სამუშაოების დადგემვის პროცედურებით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ინფრასტრუქტურული სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, პროცესების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სამუშაოებს დასრულებამდე ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 4 დიდი საბავშვო ბაღიდან, რომელიმე ბაღის შენობაში მოხდება დროებითი განთავსება.

საბჭოს წევრი ნანა ათუაშვილი დაინტერესდა რეფერირების საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დაწესებულების ხელმძღვანელი. თითოეული აღმზრდელის ვალდებულებაა ბავშვებზე დაკვირვება, საეჭვო შემთხვევაში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ინფორმირება, გაერთიანების ბავშვთა დაცვის განყოფილების ჩართულობა და საჭიროების შემთხვევაში 112-თან კომუნიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო - 12:44
დასრულების დრო -12:49

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (ქალაქ გურჯაანის №4 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 175 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებას (ქალაქ გურჯაანის №4 საბავშვო ბაგა-ბაღში) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 88-ით.
საბჭომ ავტორიზაციის მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 04 ივნისისა.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (ქალაქ გურჯაანის №2 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ ობიექტური გარემოების გამო სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ნინო გიუაშვილმა.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა სხირტლაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალ ქალაქ გურჯაანის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 20 და 21 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" მეთოდური სახელმღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 115. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 58 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, თეა სხირტლაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე და მესამე სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ტექნიკური ხარვეზის გამო მეორე სტანდარტი მონიშნულია როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", თუმცა უნდა იყოს მონიშნული ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა კიბის უჯრედთან დაკავშირებით, სახელურების საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია დროებითი ღონისძიების სახით ე.წ. ,,თოკის ბადეების" მოწყობასთან დაკავშირებით და სამუშაოს შესრულება მიმდინარე თვის ბოლომდე განხორციელდება. კიბის უჯრედთან დაკავშირებით ძირითადი სამუშაოები კი შესრულდება შესაბამისი ვადების დაცვით. აგრეთვე დაწყებულია მუშაობა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან დაკავშირებით, გაგზავნილია წერილობითი მიმართვა შესაბამის უწყებაში, შიდა აზომვითი ნახაზი შესრულებულია, მოხდება ნახაზის წარდგენა და აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება გაწერილ ვადებში განხორციელდება.

საბჭოს წევრი ნანა ათუაშვილი დაინტერსდა ბიუჯეტის საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ მიმდინარე წლის სამუშაოები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდება, მომდევნო წლის კი

მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით და ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო - 13:05
დასრულების დრო -13:18

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (ქალაქ გურჯაანის №2 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 115 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებას (ქალაქ გურჯაანის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 58-ით.
საბჭომ ავტორიზაციის მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 04 ივნისისა.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (ქალაქ გურჯაანის №1 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ღაჭავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალ ქალაქ გურჯაანის №1 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" მეთოდური სახელმღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 179. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 101 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ლელა ღაჭავამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ბაღის პერსონალის კომპიუტერით სარგებლობის შესაძლებლობის, ჭურჭლის შეძენის და დანა-ჩანგლის გამოყენების საკითხებით.
ბაგა-ბაღის მენეჯერმა ნათია ბეთანელმა განმარტა, რომ კომპიუტერი ხელმისაწვდომია ბაღის პერსონალისთვის. რაც შეეხება ჭურჭელს, სექტემბრისთვის უკვე უზრუნველყოფილი იქნება დაზიანებული ჭურჭლის ჩანაცვლება და ხარვეზში გაწერილი დანების შეძენა. დანა-ჩანგლის გამოყენების შესწავლა აქტივობის სახითაც გაწერილია და უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება აღსაზრდელებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ფოტომასალაში არსებული წყლის რეზერვუარების საკითხით.

ბაგა-ბაღის მენეჯერმა ნათია ბეთანელმა განმარტა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით. წყლის მარაგის მიზნით არის რეზერვუარები, გაწერილია შესაბამისი სოპ-ი და გაუთვალისწინებელი გარემოების დადგომის შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურების დაცვით, მოხდება რეზერვუარში არსებული წყლით სარგებლობა.

საბჭოს წევრი ნანა ათუაშვილი დაინტერესდა საკადრო საკითხებით კვალიფიკაციებთან დაკავშირებით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ სტანდარტით არის გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხელმისწვდომობა გაიზარდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული პროგრამებით და კვალიფიციური საკადრო დეფიციტი სავარაუდოდ არ იქნება.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა პერსონალში მამაკაცების ჩართულობით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ მამაკაცები ძირითადად ტექნიკურ პერსონალად არიან დასაქმებულნი და თუ საგანმანათლებლო პერსონალის კუთხითაც იქნება დაინტერესება, შესაბამისი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, საინტერესო იქნება მათი ჩართულობა ამ თვალსაზრისითაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო - 13:45
დასრულების დრო -13:52

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (ქალაქ გურჯაანის №1 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 179 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებას (ქალაქ გურჯაანის №1 საბავშვო ბაგა-ბაღში) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 101-ით.

საბჭომ ავტორიზაციის მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 04 ივნისისა.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ ახაშნის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნინო ლაპარტყავა.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ღაჭავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალ სოფელ ახაშნის საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 18 და 19 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" მეთოდური სახელმღვანელო 2 დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 43 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ლელა ღაჭავამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მე-2 სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ადამინაური რესურსების პროფესიული განვითარების საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ ყველას აქვს გავლილი აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული, რაც შეეხება პირველადი გადაუდებელი დახმარების კუთხით გადამზადებას, ყველა ექთანს აქვს გავლილი და მომდევნო წელს დაგეგმილია ფართომაშტაბიანი 2 დღიანი ტრენინგები ყველა შესაბამისი პერსონალისთვის.

საბჭოს წევრი ნანა ათუაშვილი დაინტერესდა ადაპტირებული საპირფარეშოს სივრცით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ საპირფარეშოს სივრცე თავსებადია ეტლით მოსარგებლე პირების თავისუფლად გადადგილებისთვის.

საბჭოს წევრი თამარ ჩიკვილაძე დაინტერესდა აღმზრდელ პედაგოგების და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის თანაფარდობის საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ მიმდინარე ეტაპზე საგანმნათლებლო პერსონალი არასაკმარისია ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით, ახალი საშტატო ინიცირებულია და აღნიშნული თანაფარდობა დაცული იქნება.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა იატაკიდან ფანჯრის რაფამდე მანძილის სტანდარტთან შეუსაბამობის და სარდაფების დეზინფექცია/დერატიზაციის საკითხებით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ მისი ინფორმაციით სამუშაოები პროექტის მიხედვით განხორციელდა და იატაკიდან ფანჯრის რაფამდე მანძილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისია. რაც შეეხება დეზინფექცია/დერატიზაციას, აღნიშნულ საკითხზე ბაზრის კვლევა უკვე დაწყებულია და განხორციელდება შესაბამისი მომსახურების შესყიდვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო - 14:12
დასრულების დრო -14:16

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ ახაშნის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებას (სოფელ ახაშნის საბავშვო ბაგა-ბაღში) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 43-ით.
საბჭომ ავტორიზაციის მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 04 ივნისისა.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ ველისციხის №2 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ღაჭავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალ სოფელ ველისციხის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 20 და 21 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" მეთოდური სახელმღვანელო 2 დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის

მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 55. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ლელა ღაჭავამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მე-2 სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ეზოს საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ ეზო გაიმიჯნება, ყოველმხრივად დაცული იქნება და სრულად დაკმაყოფილდება სტანდარტით გათვალისწინებული საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა შერული ჯგუფის შემთხვევაში სააღმზრდელო საგანმათლებლო კომპონენტების განხორციელების საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ ბავშვთა რაოდენობიდან გამომდინარე ეს სირთულეს არ წარმოადგენს და ყველა ასაკის ბავშვის მიმართ, შერეული ჯგუფის ფარგლებში, სრული მზაობაა სრულფასოვანი მომსახურებას გაწევის.

საბჭოს წევრი თეა ბაქრაძე დაინტერესდა საპირფარეშოებში ხელის გასამშრალებელი ქაღალდების კონტეინერების არარსებობით და მათი, ზონრებზე დამაგრებული სახით, კედლებზე განთავსებით.

გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ ეს იყო დროებითი გადაწყვეტილება და დაგეგმილია დისპანსერების და თხევადი საპნების შეძენა.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა თეთრეულის საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა ხატია ზაკალაშვილმა განმარტა, რომ უკვე აქვთ მარკირებული კონტეინერები და არის მზაობა გამოყენებული და ახალი თეთრეულის ცალ-ცალკე განთავსების.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო - 14:31
დასრულების დრო -14:39

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების (სოფელ ველისციხის №2 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 55 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებას (სოფელ ველისციხის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.
საბჭომ ავტორიზაციის მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 04 ივნისისა.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების (ნინოწმინდის №2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომა დროებით დატოვა საბჭოს წევრმა რონა პერტიამ.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების ნინოწმინდის№2 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 19 და 20 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ბილინგვური მიდგომით განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 90. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 90 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ტექნიკური ხარვეზის გამო მეორე სტანდარტი მონიშნულია როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", თუმცა უნდა იყოს მონიშნული ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა დაწესებულების მხრიდან წარმოსადგენი საჯარო რეესტრის ამონაწერის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერი მზადაა და უახლოეს მომავალში წარმოადგენდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი დაინტერესდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის მიღების შესახებ დაწესებულების მზაობით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე გაერთიანებას მულტიდისციპლინური გუნდი არ ჰყავდა, რომელიც განპირობებული იყო რეგიონში შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანების ნაკლებობით.

საბჭოს თავმჯდომარე ეკატერინე ლეჟავამ გაერთიანების ხელმძღვანელს მიმართა კითხვით რომელიც შეეხებოდა კვების მიმართულებით ხარვეზებს. გაერთიანების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მენიუდან ამოღებული იქნებოდა ყველა ის საკვები პროდუქტი რომელიც ბავშვის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

ეკატერინე ლეჟავამ დაწესებულებას რჩევის სახით სთხოვა სანიტარულ-ჰიგიენის მიმართულებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული აქტივობები მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში განეხორციელებინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო - 15:34
დასრულების დრო - 15:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების (ნინოწმინდის N2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანებას (ნინოწმინდის№2 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.
საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 4 ივნისისა.

ავტორიზაციის საბჭომ, არაუგვიანეს 2026 წლის 15 სექტემბრისა, დაწესებულებას დამატებით განუსაზღვრა IV სტანდარტის ნაწილში გათვალისწინებული კრიტიკულად შეუსაბამობის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში, კერძოდ: საკანალიზაციო ჭის მოწესრიგების დოკუმენტის და შესაბამისი ფოტომასალის წარდგენა და გაერთიანებაში შემავალი ბაღების კვების მენიუდან ტომატ პასტის (რომელიც შეიცავს ნატრიუმის ბენზონატს) და ტკბილი სასმელების ამოღება.

მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ პატარა ხანჩალის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი რონა პერტია.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების სოფელ პატარა ხანჩალის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 21 და 22 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ბილინგვური მიდგომით განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 26. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ტექნიკური ხარვეზის გამო მეორე სტანდარტი მონიშნულია როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", თუმცა უნდა იყოს მონიშნული ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო - 16:09
დასრულების დრო - 16:13

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ პატარა ხანჩალის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 26-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანებას (სოფელ პატარა ხანჩალის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 4 ივნისისა.

მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ სათხის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების სოფელ სათხის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 23 და 24 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ბილინგვური მიდგომით განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 50 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ტექნიკური ხარვეზის გამო მეორე სტანდარტი მონიშნულია როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", თუმცა უნდა იყოს მონიშნული ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა დაწესებულების მხრიდან წარმოსადგენი საჯარო რეესტრის ამონაწერის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერს უახლოეს მომავალში წარმოადგენდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო - 16:35
დასრულების დრო - 16:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ სათხის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანებას (სოფელ სათხის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.
საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 4 ივნისისა.

მეთორმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:
ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ ყულალისის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა რონა პერტიამ.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების სოფელ ყულალისის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 25 და 26 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ბილინგვური მიდგომით განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 24. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 24 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ნანა ხითარიშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ტექნიკური ხარვეზის გამო მეორე სტანდარტი მონიშნულია როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", თუმცა უნდა იყოს მონიშნული ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა დაწესებულების მხრიდან წარმოსადგენი საჯარო რეესტრის ამონაწერის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერი მზადაა და უახლოეს მომავალში წარმოადგენდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი დაინტერესდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის მიღების შესახებ დაწესებულების მზაობით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიმდინარე ეტაპზე გაერთიანებას მულტიდისციპლინური გუნდი არ ჰყავს, რაც განპირობებული იყო რეგიონში შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანების ნაკლებობით.

საბჭოს თავმჯდომარე ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა კვების მიმართულებით არსებული ხარვეზებით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მენიუდან ამოღებული იქნებოდა ყველა ის საკვები პროდუქტი რომელიც ბავშვის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ დაწესებულებას რჩევის სახით სთხოვა სანიტარულ-ჰიგიენის მიმართულებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული აქტივობები მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში განეხორციელებინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო - 17:08
დასრულების დრო - 17:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სოფელ ყულალისის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 24-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანებას (სოფელ ყულალისის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების

დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 24-ით.
საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 4 ივნისისა.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 17:17 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე